



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

№3, 2017





კონკურსები

1. 2017 წლის 3 თებერვალს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2018 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 1 080 000 ლარი), (პროექტების შემოტანის ბოლო ვადა 26.04.2017 წელი). დაფინანსდა შემდეგი 3 პროექტი:
 - „მინდვრის ყვავილები“ (პროდიუსერი - „3003 ფილმ ფროდაქშენ“ მინდობილი პირი - მარგო ზუბაშვილი, რეჟისორი - ლანა დოლობერიძე) - 470 000 ლარი.
 - „ჩემი სახლი ტყის პირას“ (პროდიუსერი - შპს „ნუში ფილმი“ დირექტორი - თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი - თამარ შავგულიძე) - 136 854 ლარი.
 - “არმატურა“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“ დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - გიორგი ცქვიტინიძე) – 470 000 ლარი.
2. 2017 წლის 23 ივნისს გამოცხადდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2017 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 160 000 ლარი), (პროექტების შემოტანის ბოლო ვადა 5.09.2017 წელი). შემოვიდა 46 პროექტი და განსახილველად გადაეცა საექსპერტო კომისიას. კომისიის პირველი ტური ჩაინიშნა 2017 წლის 23 - 24 ოქტომბერს.


3. 2017 წლის 23 ივნისს გამოცხადდა ანიმაციური ფილმის 2017 წლის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 40 000 ლარი). (პროექტების შემოტანის ბოლო ვადა 26.07.2017 წელი). შემოვიდა 15 პროექტი. დაფინანსდა 7 პროექტი.
- “პატარა ხოჭო” (პროდიუსერი - შპს”ლე ხაინდრაო ფროდაქშენ”, რეჟისორი და სცენარის ავტორი - ელენე სებისკვერაძე) – 5000 ლარი;
 - “ცხოვრების ტანგო” (პროდიუსერი - შპს”რამონა” რეჟისორი და სცენარის ავტორი - ვლადიმერ სულაქველიძე) – 8500 ლარი;
 - “ყვავი” (პროდიუსერი - შპს”20სთეპს ფროდაქშენ”, რეჟისორი და სცენარის ავტორი - ალექსანდრე ქათამაშვილი) – 5500 ლარი;
 - “ფრენცის სასადილო” (პროდიუსერი - ააიპ”სტუდია ჯიბის კაცი”, რეჟისორი და სცენარის ავტორი - ანა ჩუბინიძე - 6000 ლარი;
 - “ქამერდე” (პროდიუსერი - შპს”შვიდკაცა +”, რეჟისორი - ნიკოლოზ ქარცივაძე-ჯაფარიძე, სცენარის ავტორი - ქეთევან გალდაძე, გიორგი ბარაბაძე);
 - “მიტოვებული სოფელი” (პროდიუსერი - საზოგადოებრივ საგანმანათლებლო მოძრაობა კვალი XXI” რეჟისორი და სცენარის ავტორი - მარი კაპანაძე) – 4000 ლარი;
 - “ენძელა” (პროდიუსერი - შპს”მსგ”ლირა ფროდაქშენი”, რეჟისორი და სცენარის ავტორი - დათო კიკნაველიძე - 6000 ლარი
4. 2017 წლის 24 ივლისს გამოცხადდა ქართულ-უცხოური (კო-პროდუქცია) სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2018 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 500 000 ლარი). (პროექტების შემოტანის ბოლო ვადა 29.09.2017 წელი).

ფილმნაკრობა

მიმდინარე პროექტები

მოსამზალხელ პერიოდშია:


- ერთობლივი ქართულ-თურქული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიდი“ (პროდიუსერი - სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი -ერეკლე ბადურაშვილი)
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი “ინგა” (პროდიუსერი - შპს”სიბლერ ფილმსი”, დირექტორი - დავით აბრამიშვილი, რეჟისორი - დავით აბრამიშვილი)
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი “ზამთრის დეპრესია” (პროდიუსერი - შპს”Film Asylum”, დირექტორი - ნიკა გუგუშვილი, რეჟისორი - თამაზ ნარიმანიძე)
- მცირებიუჯეტიანი მხატვრული ფილმი “ომობანა” (პროდიუსერი - შპს „სტენლი“, დირექტორი - ალექსანდრე დარახველიძე, რეჟისორი - ირაკლი ჩხიკვაძე)
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი_”სატრფიალო პასტორალი” (პროდიუსერი - შპს “თთფილმი” დირექტორი - თამარ გურჩიანი, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი)
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი”ერთი ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი დღე” (პროდიუსერი - შპს”არტ ფაბრიკა” დირექტორი - თამაზ ორაშვილი, რეჟისორი - გიორგი შენგელაია)
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხე“ (პროდიუსერი - ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი - სალომე ჯაში, რეჟისორი - სალომე ჯაში)



გადაღების პერიოდშია პერიოდშია:

- გადაღების პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უარყოფითი რიცხვები“ (პროდიუსერი - შპს „მაგნეტ ფილმს“ დირექტორი -დავით ისაკაძე, რეჟისორი - უტა ბერია)
- გადაღების პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დაკარგული რვანახევარი“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“ დირექტორი - ირაკლი სოლომანაშვილი, რეჟისორი - ვახო ვარაზი)
- გადაღების პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მიუსაფარი“ (პროდიუსერი - შპს „სავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზურაბ ინაშვილი, რეჟისორი - ზურაბ ინაშვილი)

- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი - შპს „ზათუმის საავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზაზა ხალვაში, რეჟისორი - სალომე და თამთა ხალვაში)
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - ირაკლი მეტრეველი)
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „წინ, წინაპრებისკენ!“ (პროდიუსერი - შპს „დიაფილმი“ დირექტორი - შორენა თევზაძე, რეჟისორი - შორენა თევზაძე)
- გადაღების პერიოდშია მცირებიუჯეტის მხატვრული ფილმი „ლორი“ (პროდიუსერი - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - გიგა ლიკლიკაძე)
- გადაღების პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა პეპლები იწყებენ ფრენას“ (პროდიუსერი - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - ბექარ ჯგუბურია)
- გადაღების პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პამპულობანა“, (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრ ფილმი“ დირექტორი - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - ამირან დოლიძე)
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ (პროდიუსერი - შპს „კინო იბერიკა“ დირექტორი - ლევან კოლუაშვილი, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი)
- გადაღების პერიოდშია ერთობლივი ქართულ-უკრაინული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანტონი“ (პროდიუსერი - შპს „Georgian Internasional Films“ დირექტორი - მირზა დავითაია, რეჟისორი - ზაზა ურუშაძე)



“უარყოფითი რიცხვები”

სამონტაჟო პერიოდშია:

- სამონტაჟო პერიოდშია ერთობლივი ქართულ - უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმოცდასამი - 43“ (პროდიუსერი - შპს „სინეტექი“ დირექტორი - რუსუდან გლურჯიძე, რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე)
- სამონტაჟო პერიოდშია მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი “კაცი” (პროდიუსერი - შპს“სინემაგია”, დირექტორი - გიორგი კაჭარავა, რეჟისორი - გიორგი კაჭარავა)
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი - “ისტორია საოჯახო ალბომიდან” (პროდიუსერი - ააიპ”საქდოკ ფილმი” დირექტორი - ანნა ძიაპშიპა, რეჟისორი - ანნა ძიაპშიპა)
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი “სანამ მამა დაბრუნდება” (პროდიუსერი - შპს”ნუში ფილმი” დირექტორი - თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი - მარიამ გულბიანი)
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი”აბასთუმანი” (პროდიუსერი - ააიპ”კავშირი ოპიოდოკი” დირექტორი - მარიამ ჭაჭია, რეჟისორები - მარიამ ჭაჭია, ნიკ ვოიგთი)
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი”ნამე” (პროდიუსერი - შპს”ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია” დირექტორი - ზაზა ხალვაში, რეჟისორი - ზაზა ხალვაში)
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჰორიზონტი“ (პროდიუსერი - შპს „ჯემინი“ დირექტორი - თინათინ ყაჯრიშვილი, რეჟისორი - თინათინ ყაჯრიშვილი)
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღლუმი” (პროდიუსერი - შპს „ახალი ქართული ფილმი” დირექტორი - ნიკა აბრამაშვილი, რეჟისორი - ნინო ჟვანია)
- სამონტაჟო პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (პროდიუსერი -ინდ / მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე)
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უცხო“ (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრი“ დირექტორი - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - დიმიტრი მამულია)
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ - ბულგარული პროექტი „ურსუსი” - (პროდიუსერი - შპს „სტუდიო“, რეჟისორი - ოთარ შამათავა)
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (პროდიუსერი - შპს”არტეფაქტ პროდაქშენი”, დირექტორი - ივანე არსენიშვილი, რეჟისორები - ნინო ორჯონიკიძე, ივანე არსენიშვილი)
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი”პიონერთა სასახლე“ (პროდიუსერი - ააიპ”Matchhouse Film”დირექტორი - ანა ციმინტია, რეჟისორი - ანა ციმინტია)
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ზოლემია“

(პროდიუსერი - ინდ / საწარმო „ქეთევან ჯანელიძე“, მხატვარ / ანიმატორი - ნინა სამანიშვილი)

- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მეთევზე და გოგონა“ (პროდიუსერი - შპს „20 Steps Productions“ დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - მამუკა ტყეშელაშვილი)
- სამონტაჟო მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი - შპს „ელიენ ქინდ“ დირექტორი - გიორგი კვაჭაძე, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი)
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მოწამლულები“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია 99“ დირექტორი - კარინე სარდლიშვილი, რეჟისორი - თამარ ბართაია)
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კახეთის მატარებელი“ (პროდიუსერი - შსგ „ლირა ფროდაქშენი“ დირექტორი - ლალი კიკნაველიძე, რეჟისორი - ლალი კიკნაველიძე)
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი - ფ / პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი)

ლევან კოლუაშვილის "მეოთხე ბრაიტონი"

ვენეციის ფესტივალის ფარგლებში გაიმართა სექცია Venice Gap Financing, რომელშიც 10 სხვა პროექტთან ერთად მონაწილეობდა ლევან კოლუაშვილის "მეოთხე ბრაიტონი".

პროექტი 3 ქვეყნის კოპროდუქციაა - საქართველო, საბერძნეთი, ბულგარეთი. ფილმის ერთ-ერთი მთავარი პროდიუსერია მიშელ მერკტი ("ტონი ერდმანი", "ELLE").

ფილმს იღებს ცნობილი ამერიკელი ოპერატორი - ფედონ პაპამიქელი (Nebraska, Sideways, Descendants), რომლის ახალმა ფილმმა Downsizing (რეჟ. ალექსანდრ პეინი) გახსნა ვენეციის წლევანდელი კინოფესტივალი.

"მეოთხე ბრაიტონის" ქართული ნაწილის გადაღება დასრულდა მაისში. ნოემბერში დაგეგმილია გადაღებები ნიუ იორკში.



"მეოთხე ბრაიტონი"

დასრულდა:

- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაბანა“ (პროდიუსერი - შპს „FILM ASYLUM“ დირექტორი ვალერიან კირკიტაძე, რეჟისორი - გიგა ბაინდურაშვილი)
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ჩუბჩიკა“ (პროდიუსერი - ინდ / მეწარმე რატი რეხვიაშვილი, რეჟისორი - ალექსანდრე რეხვიაშვილი)
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დაცვის პოლიციელი“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“ დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - გიგა ხაინდრავა)
- დასრულდა სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეზობლები“ (პროდიუსერი - შპს „არტიზმი“ დირექტორი - ლაშა ხალვაში, რეჟისორი - გრიგოლ აბაშიძე)
- დასრულდა სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „საშიში დედა“ (პროდიუსერი - შპს „არტიზმი“ დირექტორი - ლაშა ხალვაში, რეჟისორი - ანა ურუშაძე)
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნამე“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია,“ დირექტორი - ზაზა ხალვაში, რეჟისორი - ზაზა ხალვაში)



“ნამე”



განვითარების პერიოდშია:

- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „მეფე“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“ დირექტორი - ირაკლი სოლომანაშვილი, სცენარის ავტორი - ირაკლი სოლომანაშვილი)



„საშიში დედა“

ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმი გამოვლინდა

ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმი სპეციალურმა კომისიამ გამოავლინა. წელს, საქართველოს სახელით, ოსკარის ნომინაციის მოსაპოვებლად დებიუტანტი რეჟისორის - ანა ურუშაძის ფილმი „საშიში დედა“ იბრძოლებს.

ცხრა წევრიანი კომისია კინოცენტრმა შექმნა და ის კინოსექტორის ავტორიტეტული წევრებით იყო დაკომპლექტებული.

1. კახი კანდელაკი - კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე
2. ლანა ლოლობერიძე - რეჟისორი
3. კოტე ჯანდიერი - სცენარისტი
4. ოთარ შამათავა - რეჟისორი-პროდიუსერი
5. ია სუხიტაშვილი - მსახიობი
6. არჩილ ახვლედიანი - ოპერატორი
7. გიორგი ოვაშვილი - რეჟისორი
8. ქეთი ტრაპაიძე - კინომცოდნე
9. ზურაბ მაღალაშვილი - კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

აგვისტოში ეროვნულმა კინოცენტრმა საბუთების მიღება დაიწყო. ამერიკის კინოაკადემიის მოთხოვნების გათვალისწინებით, სულ შემოვიდა 4 განაცხადი. შესაბამისად, ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად წელს შემდეგი 4 ქართული ფილმი იბრძოდა:

- „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ (რეჟისორები: ნანა ექვთიმიშვილი და სიმონ გროსი)
- „მძევლები“ (რეჟისორი: რეზო გიგინეიშვილი)
- „საშიში დედა“ (რეჟისორი: ანა ურუშაძე)
- „ლუკა“ (რეჟისორი: გიორგი ბარაბაძე)

ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოვების 90-ე საიუბილეო ცერემონიალი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან კინოლონისძიებად ითვლება, 2018 წლის 4 მარტს ლოს ანჯელესში, დოლბის თეატრში გაიმართება.



“ჩემი ბედნიერი ოჯახი”

ჩემი ბედნიერი ოჯახი საქართველოს კინოთეატრებში

ევროპული და ამერიკული წარმატებების შემდეგ, თბილისმა ნანას და სიმონის ფილმის „ჩემი ბედნიერი ოჯახის“ პრემიერას უმასპინძლა.

მსოფლიო და ევროპული პრემიერა

„ჩემი ბედნიერი ოჯახის“ მსოფლიო პრემიერა ამერიკის უმნიშვნელოვანეს კინოფესტივალზე - სანდენსზე შედგა, ხოლო ევროპული პრემიერა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

ბაყიდვები და კინოგაქირავება

“ჩემი ბედნიერი ოჯახი” არის პირველი ქართული ფილმი, რომლის მსოფლიო დისტრიბუციის უფლებები მსხვილმა ამერიკულმა კომპანია „ნეტფლიქსმა“ იყიდა.

„ნეტფლიქს“ ამჟამად 104 მილიონი მომხმარებელი ჰყავს.


სანდენსზე წარდგენის შემდეგ ფილმს “ჩემი ბედნიერი ოჯახი” ყველა მნიშვნელოვან ამერიკულ გამოცემაში დიდი გამოხმაურება ჰქონდა. დაიწერა დადებითი შეფასებები, ფილმი ფესტივალის ბოლო ათწლეულის აღმოჩენად და 2017 წლის ერთ-ერთ საუკეთესო ფილმად აღიარეს. ბერლინალეზე ფილმის ჩვენების შემდეგ და საფრანგეთსა და გერმანიაში ფილმის კინოთეატრებში გამოსვლის შემდეგ, ქართულ ფილმს ასევე დიდი გამოხმაურება მოჰყვა გერმანულ და ფრანგულ პრესაში.

ელდარ შენგელაია და მისი ახალი ფილმი "სავარძელი"

მოსკოვის კინოფესტივალზე ელდარ შენგელაიას ახალი ფილმის ჩვენება გაიმართა.

ფილმის პომპეზურ პრემიერას ასევე უმასპინძლა ელდარ რიაზანოვის კლუბმა.

დიდი ქართველი რეჟისორი ახალი ნამუშევრით „სავარძელი“ რუსეთის მასშტაბით კიდევ 5 კინოფესტივალზეა მიწვეული. ასევე, ელდარ შენგელაია ვარნას კინოფესტივალის ჟიურის წევრი იქნება და ამავე ფესტივალზე გაიმართება მისი ფილმის ჩვენებაც. „სავარძელს“ მალე ნახავენ ლონდონშიც. რუსულმა ტელეარხმა „კულტურა“ ფილმის ჩვენების უფლება შეიძინა, ასევე არხმა ჩაწერა ვრცელი ინტერვიუ ლეგენდარულ ქართველ რეჟისორთან. ფილმის სატელევიზიო პრემიერა ოქტომბრის ბოლოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე შედგა.



“ნამდვილი ტალანტი არასდროს იკარგება, დიდი ოსტატები კი, როგორც ქართული კინემატოგრაფის მეტრი, ელდარ შენგელაიაა, რჩებიან დიდ ოსტატებად სულ. ამ სიტყვებს ადასტურებს ბატონი ელდარის ახალი ფილმი “სავარძელი”. ვულოცავთ მას და მთელ შემოქმედებით ჯგუფს ფილმის წარმატებას და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ მომავალში.”



„დედე“ კარლოვი ვარის ფესტივალზე ჟიურის პრიზის მფლობელი გახდა

მარიამ ხაჭვანის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმი სიყვარულსა და მთის ტრადიციებზე „დედე“ კარლოვი ვარის კინოფესტივალზე ჟიურის პრიზით დაჯილდოვდა.

ფილმი საკონკურსო სექციაში „დასავლეთის აღმოსავლეთი“ (East of the West) მონაწილეობდა.

„დედეს“ ფესტივალზე თავიდანვე მაღალი რეიტინგი ჰქონდა და პირველივე ჩვენებას დადებითი რეცენზიები მოჰყვა. ქართველ რეჟისორთან ინტერვიუ ჩაწერა გავლენიანმა გამოცემამ „The Variety“ და ფილმს მიემდგნა არაერთი სტატია სხვადასხვა საერთაშორისო კინოპორტალზე.

ფილმი აგრძელებს საფესტივალო ცხოვრებას, კარლოვი ვარის შემდეგ „დედე“ ხორვატიის ფესტივალის კონკურსშია.

რეჟისორის თქმით, ეს არის ფილმი სვან გოგონაზე, რომელიც სიყვარულისთვის იბრძვის და იმარჯვებს. „დედე“ მარიამის მოკლემეტრაჟიანი ნამუშევრის, „დინოლას“ სრული ვერსიაა.

„დედე“, ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია. ფილმის გადაღებები სვანეთში, ყაზბეგსა და კასპში მიმდინარეობდა, მთავარ როლებს ნათია ვიბლიანი, გიორგი ბაბლუანი, ნუკრი ხაჭვანი და გირშელ ჭელიძე ასრულებენ. ფილმის პროდიუსერია ვლადიმერ კაჭარავა (20 Steps Production), ოპერატორი - მინდია ესაძე.

დედე 4 ქვეყნის კოპროდუქციაა - საქართველო, ირლანდია, ყატარი, ჰოლანდია.

აღსანიშნავია, რომ ფილმის უმეტესი ნაწილი სვანურ ენაზეა, ასევე ისიც, რომ სვანია ყველა მსახიობი.

„დედე“ სანდენსის და კანის კინოფესტივალზე საუკეთესო პროექტებს შორის იყო.



ანა ურუშაძის "საშიში დედა" ლოკარნოს კინოფესტივალის გამარჯვებულია

ანა ურუშაძე ლოკარნოს 70 -ე საიუბილეო კინოფესტივალზე „ოქროს ლეოპარდის“ მფლობელია. ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის ნამუშევარი „საშიში დედა“ ფესტივალის საუკეთესო სადებიუტო ფილმი გახდა. რეჟისორს ფესტივალზე დამოუკიდებელი ჟიურის პრიზიც გადაეცა.

ფილმის მსოფლიო პრემიერა ლოკარნოში საკონკურსო სექციაში Concorso Cineasti del presente დიდი წარმატებით გაიმართა და მსოფლიო პრესაში დადებითი შეფასება დაიმსახურა.

ანა ურუშაძის სადებიუტო ნამუშევარი ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებულია. ფილმი საქართველოს (სტუდიები „არტიზმი“ და „ჯემინი“) და ესტონეთის (სტუდია „Allfilms“) კოპროდუქციაა. მთავარ როლს ნატო მურვანიძე ასრულებს.

ლოკარნოში კიდევ ერთი ახალგაზრდა ქართველი რეჟისორი, რატი წითელაძე დააჯილდოვეს. რატიმ სრულმეტრაჟიანი ფილმის პროექტით “ცარიელი სახლი” ლოკარნოს კინოფესტივალის ინდუსტრიულ სექციაში Open Doors სპეციალური აღნიშვნა დაიმსახურა.

ქართული კინოს ტრიუმფი სარაევოს კინოფესტივალზე

ლოკარნოს შემდეგ, ანა ურუშაძის “საშიში დედა” სარაევოს კინოფესტივალის გრან პრის მფლობელი გახდა.

აღსანიშნავია, რომ ფილმს ამავე ფესტივალზე ახალი ამბების ცნობილი საერთაშორისო პორტალის - Cineuropa ჯილდოც გადაეცა.

რატი ონელის ნამუშევარი “მზის ქალაქი” კინოფესტივალის საუკეთესო დოკუმენტური ფილმი გახდა და პრიზით დაჯილდოვდა.

“მზის ქალაქის” მსოფლიო პრემიერა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა და მას შემდეგ იგი არაერთი პრიზის მფლობელია.



სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალზე წელს ქართული ფილმები განსაკუთრებული მასშტაბით იყო წარმოდგენილი.

მთავარ კონკურსში „საშიში დედის“ გარდა რეზო გიგინეიშვილის გახმაურებული „მძევლები“ მონაწილეობდა.

ნანა ექვთიმიშვილის და სიმონ გროსის არაერთი პრიზის მფლობელი „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ წარმოდგენილი იყო სექციაში „ფოკუსი“.

ასევე მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო პროგრამაში მოხვდა ანა სარუხანოვას და კატალინა ბაქრადის „სრულყოფილი შეკვეთა“.

გიორგი ოვაშვილის ახალი პროექტი „უღელტეხილი“ კი ინდუსტრიულ სექციაში Cinelink მონაწილეობდა.

ფესტივალის საბავშვო პროგრამაში დათო კიკნაველიძის ანიმაციური ფილმი „ჯინო“ ნახეს პროგრამაში Working Progress კი თინათინ ყაჯრიშვილის „ჰორიზონტი“ მოხვდა.

ფესტივალის საკმაოდ მაღალი დონის არის და მას ყოველწლიურად არაერთი ვარსკვლავი ესწრება.



"სხვისი სახლი" კინოფესტივალზე "OKHO В ЕВРОПУ" დაჯილდოვდა

რუსუდან გლურჯიძის მრავალი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი ფილმის მორიგი წარმატება - "სხვისი სახლი" კინოფესტივალის «Okho в Европу» გამარჯვებულია.

ფილმი ჟიურის სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

«Okho в Европу» რუსეთის ერთ-ერთი უმველესი და მნიშვნელოვანი კინოფესტივალია, რომელიც წელს 25-ედ ჩატარდა.

ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი – BIAFF 2017

სექტემბერში ბათუმმა საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლა. დახურვის ცერემონია ბათუმში სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გაიმართა. საერთაშორისო ჟიურიმ პრიზები სამ საკონკურსო სექციაში გასცა - საუკეთესო მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმები.

BIAFF 2017-ის მხატვრული ფილმების საერთაშორისო კონკურსის სექციის ხუთკაციანმა ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები, ჟიურის წევრები იყვნენ: მოჰსენ მაჰმალბაფი (ჟიურის თავჯდომარე, დიდი ბრიტანეთი), სიდიქ ბარმაკი (საფრანგეთი), ბორის შულმან (შვედეთი), დიანა აშიმოვა (ყაზახეთი), ნუცა ალექსი მესხიშვილი (საქართველო).

- გრანპრი - „ნაზი არსება“, სერგეი ლოზნიცა, უკრაინა / გერმანია / ჰოლანდია / რუსეთი / ლიტვა, 2017.
- საუკეთესო რეჟისურა - „შუქ-ჩრდილი (Claire Obscure), იემიმ უსტაოღლუ, თურქეთი / პოლონეთი / საფრანგეთი, 2016.
- საუკეთესო მსახიობი მამაკაცი - მერაბ ნინიძე, ფილმში “იუპიტერის მთვარე”, კორნელ მუნდრუცო, უნგრეთი / გერმანია, 2017.
- საუკეთესო მსახიობი ქალი - ექემ უზუნ, ფილმში „შუქ-ჩრდილი (Claire Obscure), იემიმ უსტაოღლუ, თურქეთი / პოლონეთი / საფრანგეთი, 2016.
- ჟიურის სპეციალური პრიზი - ფილმი „დედე“, მარიამ ხაჭვანი, საქართველო / კატარი, 2017 და ფილმის „წვეულება“ (სალი პოტტერ, დიდი ბრიტანეთი, 2017) სამსახიობო ანსამბლი.



BIAFF 2017-ის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო კონკურსის სექციის ხუთკაციანმა ჟიურიმ - ალექსანდრე რეხვიაშვილი (საქართველო - ჟიურის თავჯდომარე), შონ მაკალისტერი „დიდი ბრიტანეთი), მეჰმეთ ალი არსლან (თურქეთი), ვიქტორ კუფალ (გერმანია), სეიფოლა სამადიანი (ირანი), შემდეგი პრიზები გასცა:

- საუკეთესო დოკუმენტური ფილმი - „ცემენტის გემო“, ზიად ქალთოუმ, გერმანია / ლიბია / სირია / არაბეთის გაერთიანებული საემიროები / კატარი, 2017.
- ჟიურის სპეციალური პრიზი - „მზის ქალაქი“, რატი ონელი, საქართველო / აშშ / კატარი / ჰოლანდია, 2017 და „თავისუფლების დღე“, უგის ოლტე / მორტენ ტრაავიკ, ნორვეგია / ლატვია, 2016.

BIAFF 2017-ის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო სექციის ჟიურიმ - საფარ ჰაქდადოვ (ჟიურის თავჯდომარე, ტაჯიკეთი), ჰანა მაჰმალბაფი (დიდი ბრიტანეთი), ნინელი ჭანკვეტაძე (საქართველო), ასევე ორი ძირითად ნომინაციაში გაიცა პრიზები:

- საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი - „ნაზი ღამე“, ქიუ იანგი, ჩინეთი, 2017
- ჟიურის დიპლომი (სპეციალური მოხსენიება) - გადაეცა სამ ფილმს:
- „ანა“, მარგო ზუბაშვილი, საქართველო, 2017
- „სამი საფეხური“, სოსო ბლიაძე, საქართველო, 2017
- „ვალპარაიზო“, კარლო სირონი, იტალია, 2017



BIAFF-ის პრიზი კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის გადაეცათ:

- მოჰსენ მაჰმალბაფი (ირანი / დიდი ბრიტანეთი)
- გია ყანჩელი (საქართველო)
- ვახტანგ კიკაბიძე (საქართველო)

ბათუმის ფესტივალი, ტრადიციულად, ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით გაიმართა. კინოცენტრმა კინოფესტივალზე ინდუსტრიული პლატფორმა “ალტერნატიული ტალღა” წარადგინა. 2017 წლის გამოშვებისთვის შეირჩა შემდეგი პროექტები:

1. მკვლელობები - პროდიუსერი ვაკო კირკიტაძე, რეჟისორები სანდრო და ელენე ნავერიანები.
2. ნინა - პროდიუსერი და რეჟისორი კოტე თაყაიშვილი.
3. ოთარის სიკვდილი - პროდიუსერი ევა ბლონდაუ, რეჟისორი იოსებ “სოსო” ბლიაძე.
4. პანთეონი - პროდიუსერი ვატო ქავთარაძე, რეჟისორი არჩილ ქავთარაძე.
5. სამგლე - პროდიუსერი და რეჟისორი ივა ფეზუაშვილი.
6. უხერხემლო - პროდიუსერი და რეჟისორი გიგიშა აბაშიძე.
7. ქორწილი ჩემს ქუჩაზე - პროდიუსერი და რეჟისორი შოთა გამისონია.
8. წყნარი მთა - პროდიუსერი გიორგი თავართქილაძე, რეჟისორი ლუკა ბერაძე.

სკრიპტ დოქტორები - ნიკოს პანაიატოპოლოსი / MFI- ექსპერტი /, კლერ დოუნსი / EAVE-ს ექსპერტი. კოპროდუქციის პლატფორმების წარმომადგენლები და ორგანიზატორები - ტობიას პაუზინგერი / Cinemart, Sinelink, Biennale College-ის ექსპერტი / და გიულინ უსტუნი / Meetings On the Bridge, Berlin Coproduction Market-ის ექსპერტი.

ორგანიზატორები: თინათინ ყაჯრიშვილი, ლაშა ხალვაში, ზვიად ელიზიანი.

ალტერნატიული ტალღის მხარდამჭერები - საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, ბრიტანეთის საზღვო, აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო.

ნიქოზის ანიმაციური ფილმების ფესტივალი

სოფელ ნიქოზში ანიმაციის რიგით მე-7 საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნა. ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ქართველი და უცხოელი ანიმატორების ნამუშევრები.

ფილმების ჩვენებასთან ერთად, ოკუპირებულ ცხინვალთან ახლოს მდებარე სოფელში ცნობილმა რეჟისორებმა მასტერკლასები ჩაატარეს.

გერმანია-საქართველოს მეგობრობის წელთან დაკავშირებით, წლევეანდელი ფესტივალის ფოკუსში სწორედ გერმანია იყო.





ნიქოზის საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის, ასევე, „ქართული ფილმი აფხაზეთის“ ინიციატივით ტარდება. ფესტივალს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს სახელმწიფოებრივი საქმის კონტექსტში და მისი მხარდამჭერი ტრადიციულად არის ეროვნული კინოცენტრი.

“ოქროს ბატიბუტი” აბაშის პირველი საერთაშორისო საბავშვო-საყმაწვილო კინოფესტივალი

6-9 სექტემბერს ჩატარდა აბაშის პირველი საერთაშორისო საბავშვო-საყმაწვილო კინოფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდა 36 ქვეყნის 180 ფილმი. კონკურსში წარმოდგენილი იყო 6-18 წლის ასაკის ბავშვებისა და ყმაწვილების მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური და ექსპერიმენტული კინოსურათები.

კინოფესტივალის პრიზია “ოქროს ბატიბუტი”. გამარჯვებულები გამოვლინდნენ შვიდ ნომინაციაში: მთავარი პრიზი საუკეთესო ფილმისათვის, საუკეთესო სცენარისტი, საუკეთესო რეჟისორი, საუკეთესო ოპერატორი, საუკეთესო იდეა, საუკეთესო მსახიობი ბიჭი, საუკეთესო მსახიობი გოგონა.

კინოფესტივალს ჰყავდა საერთაშორისო ჟიური სამი წევრის შემადგენლობით: კინორეჟისორი და პროდიუსერი გიორგი ოვაშვილი (თავმჯდომარე, საქართველო), კინოდრამატურგი და კინორეჟისორი იური დაჩევი (ბულგარეთი) და კინოკრიტიკოსი ანა საევიჩი (პოლონეთი).



კინოფესტივალის მუშაობაში, ქართველ ბავშვებთან და მოზარდებთან ერთად, მონაწილეობდნენ უცხოური დელეგაციები ექვსი ქვეყნიდან – ყმაწვილები და პედაგოგები (სულ 33 ადამიანი).

ფესტივალზე, ფილმების ჩვენების გარდა, გაიმართა სხვა აქტივობები: ქართული ფოლკლორის სადამო მიძღვნილი პოეტ კაჟან ცისკარელის 100 წლისთავისადმი, ადგილობრივი - აბაშის და მეზობელი ქალაქების - ფოთის, სენაკის, ჩხოროწყუს საბავშვო-საყმაწვილო მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტები, ქართული საბავშვო ფილმების ჩვენება (“არდადეგებზე” და “გალმა ნაპირი”), ექსკურსიები ნოქალაქევსა და მარტვილში.

კინოფესტივალის ორგანიზატორი იყო ასოციაცია “სინერამა”, ხოლო მხარდამჭერები – აბაშის მუნიციპალიტეტი, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი და კომპანია “აპლასტი”.

საქართველო ჯიფონის კინოფესტივალზე იტალიაში

14-22 ივლისს იტალიაში ჯიფონის ბავშვთა კინოფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 9 მოზარდი გაემგზავრა. ეროვნული კინოცენტრის და ჯიფონის კინოფესტივალის თანამშრომლობა 5 წელია გრძელდება.

ქართველი მოზარდები ორ ასაკობრივ კატეგორიაში +13 და +16 მონაწილეობდნენ. ფესტივალის პროგრამა ტრადიციულად დატვირთული იყო. საკონკურსო ნაწილში წარმოდგენილი ფილმების შემდეგ იმართებოდა დისკუსია, რომელშიც ქართველი მოზარდები აქტიურად იყვნენ ჩართულები.

ფესტივალს ტრადიციულად ვარსკვლავები სტუმრობენ, წლევანდელი სტუმრები იყვნენ: ჯულიანა მური, ემი ადამსი, კიტ ჰარინგტონი, ბრაიან ქრენსტონი, მიკა.

ქართველ მოზარდებს თითოეულ სტუმართან ერთი კითხვის დასმის უფლება ჰქონდათ. ჯულიანა მურს საინტერესო შეკითხვა დაუსვა ნინო გვარამიამ. კიტ ჰარინგტონს - მარიამ ყოჩიაშვილი გაესაუბრა. ემი ადამსს გაესაუბრა ნინა ერაძე, ბრაიან ქრენსტონს კითხვები დაუსვეს ქეთევან გორდელაძემ და სალომე ხრიკაძემ. დისკუსიების დროს განსაკუთრებულად გამოიჩინეს თავი არჩილ გვასალიამ, ნია ჟვანიამ და ანა ყიფიანმა. ქართველმა მოზარდებმა მონაწილეობა მიიღეს, ასევე, ვარსკვლავების მისასალმებელი ვიდეოების მომზადებაში.



ქართული ანიმაციის წარმატება



ჯინო

“ჯინო” აგრძელებს წარმატებულ საფესტივალო ცხოვრებას - ქართული ანიმაციური ფილმის ამერიკული პრემიერა შედგება ჩიკაგოს საბავშვო ფილმების ფესტივალზე. ეს არის ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საბავშვო ფილმების ფესტივალი, რომელსაც ყოველწლიურად 35 000 ადამიანი ესწრება. ჩიკაგოს ფესტივალზე ქართველი ავტორის ნამუშევარი პირველად მოხვდა.

გარდა ამისა, დათო კვიციანი ფილმის “ჯინო” მოხვდა არაერთ ფესტივალზე, სხვადასხვა სექციაში:

- Barcelona Children’s Film Festival,
- KINEKO Children’s Film Festival in Tokyo,
- Film’On International Film Festival for Young Audiences, official section, Brussels,
- FILMETS Badalona Film Festival 2017.

ჯიბის კაცი

პირველად, ქართული ანიმაციის ისტორიაში, ანიმაციური ფილმი “ჯიბის კაცი” საფრანგეთის 185 კინოთეატრის გაქირავებაში დადგა. ამას გარდა, ანა ჩუბინიძის ანიმაციური ფილმი აგრძელებს წარმატებულ საფესტივალო გზას და კიდევ 80 საერთაშორისო ანიმაციურ ფესტივალზეა მიწვეული. ეს არის პირველი ქართულ-ფრანგულ-შვეიცარიული ანიმაციური კოპროდუქცია.





საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge